№ 244

ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 244

ოთხშაბათი, 8 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 9 ნოემბერს,**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**სვ. პ. სვიმონიძის საბენეფისოდ**

**პირველად ახალი პიესა**

I

## ორი ზმირი

ისტორ. ტრაგ. 3 მოქ. ვ. გუნიასი (ფ. კოპედგან).

II

## აირია მონასტერი

კომედ. ხუმრ. 3 მოქ. გად. თ. სახოკიასა და ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, კუნდელი, სარიძე და სხ.; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

**მზადდება ვ. აბაშიძის საბენეფისოდ ახალი პიესა „ორი ჯიბგირი" და ეფ. მესხის მონაწილეობით „დენიზა", „სუზანა".**

**დაიბეჭდა და იყიდება დ. კლდიაშვილის მოთხრობა**

## ქამუშაძის გაჭირვება

**ტფილისში:** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. **ქუთაისში:** ვ. ბეჟანიშვილისა და ვარ. ჭილაძისა და **ბათუმში** - სპ. ჭელიძის მაღაზიებში.

(3—1)

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

**მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.**

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისთვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძით და ნაჭრობით.

(50—6.—44) **მმარ. ამხ. ნ. წერეთელი**

## სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

გღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერავად



ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.



ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელ საქმისას.

ტფილისი წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე ანნა მერკვილაძისა.

(10—178—6)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის სასულიერო სემინარიაში**

## სწავლა-დამთავრებული

**ეძებს შესაფერს ადგილს.**

ადრესი ტფილისის სასულიერო სემინარიის შვეიცართან. (2—6.—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მუღინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** 6 ნოემბერს საკანტროლო პალატაში, პალატის მმართველისა და ყველა მოსამსახურეთა თანადასწრებით გარდახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობისაგან განკურნებისათვის. ასეთივე პარაკლისი გარდახდილ იქმნა 6 ნოემბერს ტფილისის საკომერციო სასწავლებელში დირექტორისა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანადასწრებით.

*** გასულ ოქტომბრის 7-ს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზედ თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ ორი კანდიდატი იქმნა ამორჩეული: მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერი თავადი დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი და თელავის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. დიმიტრი ერასტოს ძე ჩოლოყაშვილი. 21 ოქტომბერს უმაღლესის ბრძანებით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ დამტკიცებულ იქმნა თავ. დ. ზ. მელიქიშვილი.

*** ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებული სხდომა, რომელიც დანიშნული იყო დღეს, 8 ნოემბრისათვის, და რომელზედაც უნდა განეგრძოთ ქალაქის მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გადაიდო ხვალ, 9 ნოემბრის საღამოს 8 საათისათვის.

*** ხვალ 9 ნოემბერს საღამოს 8 საათზედ ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება სხდომა ქალაქის სკოლების გამგე კომისიისა, რომელზედაც განსახილველად აქვთ შემდეგი საქმეები: ქალაქის პირველ დაწყებით იმ სკოლების ხარჯთ აღრიცხვის განხილვა, რომელნიც ქალაქის ხარჯით ინახებიან, განცხადება ქალაქის პირველ დაწყებით სკოლის ქ-ნ ვორობიოვისა, რომელიც 400 მან. ფულით შემწეობას სთხოვს ქალაქის გამგეობას, ამორჩევა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებისათვის გალობის მეორე მასწავლებლებისა და სხვა.

*** გზათა სამინისტროს აზრადა აქვს მომავალ 1901 წელს ახალ გზა ტკეცილების გაყვანასა და ძველის შეკეთებასმო ანდომოს 5000000 მანეთამდე. ყველაზედ მეტი სამუშაო კავკასიაში იქმნება სხვათა შორის ნოვოროსიისკიდგან ტუაფსამდე და სოჩიდგან ნოვოროსიისკამდე გზა ტკეცილის გასამართავად სამინისტროს განზრახვა აქვს გადასდოს 650,000 მანეთი, ტუაფსემდე—100,000 მანეთი, ბათუმ-ახალციხის გზა-ტკეცილის შესაკეთებლად 50000 მანეთი და სხვა.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 6 ნოემბერს მიმართა თხოვნით ტფილისისა, ბაქოსა და ბათუმის ქალაქის გამგეობათ, ბაქოს, ნავთის მწარმოებელთა საბჭოს, ბანკებს და სხვ. და სთხოვა ფულით დახმარება აღმოუჩინონ კავკასიის მომავალს სამეურნეო გამოფენას.

*** ახალციხის ქალაქის თვითმმართველობის მიერ აღძრული შუამდგომლობა მეეტლეთა და მეურმეთა გადასახადის შემოღების შესახებ, ტფილისის გუბერნიის უფროსს მთავარ-მართებლისთვის წარუდგენია დასამტკიცებლად.

*** როგორც „ახ. მიმ." ქუთაისიდგან სწერენ, განზრახვა აქვთ ჭიათურაში კვლავ დააარსონ სასანიტარო კომისია, რომელიც რამდენისამე წლის წინად გაუქმებულ იქმნა. კომისიის წევრებად იქმნებიან: ჭიათურის მკურნალი, შავი-ქვის მწარმოებელთა წარმომადგენელნი, ჭიათურის ბოქაული და სხვ.

*** იმავე გაზეთის სიტყვით საეპარქიო მთავრობა ამ ახლო ხანში შეუდგება ჭიათურაში ეკკლესიისა და სკოლის აშენებას, რომლისათვის შავი-ქვის მწარმოებელთა კრებამ 4,500 მან. გადასდო. ეს თანხა სამის წლის განმავლობაში უნდა მიეცეს 1,500 მან. ყოველ წლიურად. ეკკლესიისა და სკოლის ამშენებელ კომიტეტში შავი-ქვის მწარმოებელთა წარმომადგენლებად დანიშნულია თავ. ი. ვ. ნიჟარაძე და ს. ნ. აბესაძე.

*** 3 ნოემბერს სენატში გაირჩა საქმე ვას. მამიკონოვისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდებოდა. ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი სენატმა გააუქმა. ეს საქმე კვლავ გაირჩევა სამოსამართლო პალატაში. („ახ. მიმ.")

*** დღეს, 8 ნოემბერს, ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი თავისს დღესასწაულს გადაიხდის. დილით წირვა და პარაკლისი იქნება გარდახდილი და საღამოთი იუნკერთათვის ბალი გაიმართება.

*** კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით თიანეთისა და ბორჩალოს მაზრები ტფილისის მესამე სამხედრო საგამომძიებლო ნაწილს მიეწერა.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ქალაქის მე-2 ნაწილის სახლის პატრონთა სია, რომელთაც თავიანთ სახლების წინ ქვაფენილი არ გაუკეთებიათ და სთხოვა გამგეობას, აიძულეთ სახლის პატრონები, რომ ქვაფენილები მალე გამართონ.

## ქალაქის საბჭო

6 ნოემბერი

წინანდელ კრების ოქმის დამტკიცების შემდეგ, ქალაქის მოურავმა ხმოსანთ შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: წარსულს კვირაში უეცრად გარდაიცვალა კავკასიის ტყის მცველთა რევიზორი ალექსანდრე ივანეს ძე ბაქრაძე; განსვენებული თვისის ნაყოფიერის მოღვაწეობით იმდენად პატივცემული იყო საზოგადოებაში რომ მისმა გარდაცვალებამ ყველანი დააღონა. ალექსანდრე ივანეს ძე 4 წელიწადი იყო საბჭოში ხმოსნად, იგი მონაწილეობას იღებდა საბჭოს სხვა-და-სხვა კომისიის მუშაობაში და ყოველთვის სინიდისიერად ასრულებდა თვის მოვალეობას. ვსთხოვ საბჭოს ფეხზედ წამოდგომით პატივი სცეს განსვენებულის ა. ბაქრაძის სახელსაო. საბჭომ ფეხზედ ადგომით პატივი სცა ა. ი. ბაქრაძის სახელს.

მორიგ საქმეების განხილვის დაწყებამდე ხმოსანმა ბულდანოვმა განაცხადა, რომ საჭიროა გამგეობამ განგვიმარტოს, რტიშჩევის ქუჩაზედ პოლიციის წარმომადგენელთა თვალ წინ დაუბრკოლებლად აღნიშნულ ქუჩაზედ მცხოვრებმა შამქაროვმა რა მიზეზით მოსჭრა ხეებიო? ქალაქის მოურავმა უპასუხა, შემდეგს სხდომაზედ მოგცემთ პასუხსაო. შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ხმოსნის ა. ს. ბაბოვის განცხადებაზე იმის შესახებ, თუ რა უფლებით ტფილისის საარტისტო საზოგადოება ახალ შენობის წინ გოლოვინის პროსპექტზედ აშენებს შესავალ კარის ფარდულსაო. გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა აუხსნა საბჭოს, რომ წასული წლის მარტში აღნიშნულმა საზოგადოებამ წარმოუდგინა გამგეობას შენობის გეგმა, რომელშიაც ეს ფარდულიცაა აღნიშნული და რომელიც გამგეობამ შეუცვლელად დაამკიცაო. ამ საგანმა კამათი გამოიწვია. ზოგიერთმა ხმოსნებმა მოითხოვნს შეიცვალოს დამტკიცებულ გეგმის ის ნაწილი, სადაც ეს ფარდულია აღნიშნულიო. ბოლოს ქალაქის მოურავმა უთხრა ხმ. ა. ს. ბაბოვს, ოფიციალური განცხადება შემოიტანეთ ამ საქმის თაობაზეო.

შემდეგ საბჭო შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას. პირველად განიხილეს გამგეობის მოხსენება ქალაქის პოლიციისათვის ბინების დასაქირებლად, განათებისა და გასათბობად საჭირო ფულის გადადების შესახებ. როგორც გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, მომავალ წელს ამისათვის ქალმქმა უნდა გადასდოს სულ 10,725 მან. საბჭომ გამგეობის დადგენილება დაამტკიცა.

ბევრი კამათი გამოიწვია აგრეთვე ხმოსანთა ქალაქის სასკოლო კომისიის დადგენილებამ სასწავლებელთა ერთის მკურნალისა და ერთის ფერშლის თანამდებობათა დაწესების შესახებ. კომისიას, ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის თანხმობით განუზრახავს დაენიშნოს მკურნალს წელიწადში 1200 მან. ჯამაგირი და 300 მანეთიც ფეხის ქირად, ხოლო ფერშალს — 360 მან. კრებამ ერხმად საჭიროდ სცნო სასწავლებელთა მკურნალისა და ფერშლის დაწესება, მაგრამ ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ საჭიროა ვიდრე ეს თანამდებობანი დაწესდებოდეს შემუშავებულ იქმნას ინსტრუქცია მკურნალისათვის. ბევრის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა, გადაიდოს ეს საქმე დროებით და დაევალოს ქალაქის სასწავლებელთა კომისიას შეიმუშავოს სასწავლებელთა მკურნალისათვის ინსტრუქციის პროექტი.

## წერილი ხევსურეთიდან

**ს. ბარისახო.** სოფელი ბარისახო თიანეთის ზემოდ, ასე 60 ვერსის მანძილზედა სძევს, არაგვის ვიწრო ხეობაში, ფშავ-ხევსურეთის შუაგულში. როგორც თვით სოფლის სახელი გვიჩვენებს, ბარისახო, უფრო ბარზეა გაშენებული, ვიდრე მთაზედ და გზაც ხევსურეთის სხვა სოფლებთან შედარებით უფრო კარგი აქვს, თუმცა აქაური გზები საზოგადოდ ღმერთმა შეინახოს. ამ სოფლის მკვიდრნი სულ ხევსურები არიან, რიცხვით 45 კომლი. ესენი პრტყელი კლდის ქვისაგან აშენებულ ორ-სართულიანს სახლებში სცხოვრობენ ძალიან უსუფთაოდ, ზაფხულობით ზემო სართულში და ზამთრობით ქვემოთში, საქონელთან ერთად. ამ უსუფთაობისა გამო სხვა-და-სხვა გადასადები ავადმყოფობა ამათი ხშირი სტუმარია და ბევრსაც იმსხვერპლებს ხოლმე, მეტადრე პატარეებს. ამ მოკლე ხანში ყელჭირვებამ, რომელიც ჯერ კიდევ მძვინვარებს ხევსურეთში რამდენსამე სოფელში 15—16 ბალღი ინაცვალა: ზოგში 5, ზოგში 3 და ზოგშიც მეტი. მართალია, სენის მოსასპობად მკურნალები დადიან ხოლმე თიანეთიდგან, მაგრამ ან მკურნალებმა რა ჰქნან ამ მიუდგომელს ადგილებში, ყოველთვის ხომ დროზედ ვერ მოუსწრობენ ავადმყოფს, მეტადრე ზამთარში, როდესაც თოვლის ზვავებისაგან ხან-და ხან მთელის კვირაობით იკვრის ხოლმე გზები.

ეს გარემოება გვაგონებს ხევსურეთის გზების ყოვლად უვარგისობასა და იძულებულს გვხდის მოვაგონოთ, ვისიც ჯერ არს, რომ ამ გზების გაკეთებას დროზედ შეუდგნენ, მით უფრო, რომ ბ ნმა გუბერნატორმა აღუთქვა ამ ზაფხულს აქაურებს, რომ ხევსურეთის გზებს გაგიკეთებთო. ბარისახოელებს, როგორც საზოგადოდ ყველა ხევსურებს, აქაური სიცივეებისა გამო ვერც პური და ვერც სიმინდი ვერ მოჰყავთ. სთესენ მარტო ქერსა და ამითი იკვებებიან. თუ ეს ქერიც ხან-და ხან საკმაოდ ვერ მოუვიდათ, ან თოვლმა მოასწრო და ვერ მომკეს, ან დროზედ ვერ გალეწეს, როგორც მაგალითად წრეულს მოუვიდათ, მაშინ დიდს გაჭირვებაში ცვივიან. წრევანდელს მოსავალს-კი, ღვთის წინაშე არა უჭირს-რა, მაგრამ ზოგ-ზოგს მოუმკელ ყანას თოვლმა მოუსწრო. ამათი სულის ჩამდგმელი, ცოტათი თუ ბევრად, საქონელია, რომლის ყოლაც აქ გახშირებულია, მეტადრე ძროხისა. აქაური ძროხის ერბო თავისის ღირსებით ყველგან განთქმულია და გვარიანადაც ფასობს: ლიტრა 3 მანეთადა, 14 აბაზად იყიდება ადგილას. ფუთობით-კი 14—15 მანეთად. ამათი ყველი ფასში არ მიდის, რადგანაც ძროხისას აკეთებენ. ცხვრისას-კი ვერ აკეთებენ, რადგანაც ცოტას ინახავენ.

კავკასიაში ქრისტ. აღმადგენელ საზოგადოების მისსიონერის ე. მამინაიშვილის თაოსნობით ახლად აშენებული ადგილობრივი ტაძარი 14 ოქტომბერს დიდის ამბით აკურთხეს ფშავ ხევსურეთის ბლაღოჩინმა მ. ისიდორე პერტაიამ და ფშავ-ხევსურეთისვე მთელმა სამღვდელოებამ. ტაძარი სულ 4000 მან. დაჯდა. როგორც კურთხევაზედ, ისე წირვაზედ სასიამოვნოდ გალობდა რამდენიმე მღვდლისა და მასწავლებლისაგან შემდგარი ქართული ხორო. ეკკლესიის კურთხევას დაესწრო თვით ინსპექტორი მისიონერი ქ-რ. აღ. საზოგადოებისა ბ-ნი ე. მამინაიშვილი, რომელიც აქ ერთი კვირის წინად მოვიდა იმ მიზნით, რომ ხევსურები მოემზადებინა ამ დღესასწაულისათვის, რომელსაც უდღესასწაულო ხასიათი უნდა ჰქონოდა მათთვის. გარდა მისიონერისა, კურთხევას დაესწრნენ: თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ნ. კ. ფურცელაძე, ფშავ-ხევსურეთის საბოქაულოს გამგე ი. ს. ოზიევი, მკურნალი მუხარინსკი და აუარებელი ხალხი. წირვაზედ ბ-მა მამინაიშვილმა ხალხს სიტყვით მიჰმართა, რომლითაც აუხსნა მნიშვნელობა წმ. ეკკლესიისა, როგორც სამლოცველო წმ. ადგილისა, სადაც ყველა გულითადს ლოცვასა და ვედრებას განსაკუთრებითი ძალა აქვს. მერმე მიულოცა ამნაირ ადგილის მათ მიერ შეძენა და ბოლოს სთხოვა ხალხს ყველა შემთხვევაში ამ ადგილისთვის მიემართათ და აქ ელოცათ. მარტივის ენით წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი ზედგავლენა იქონია ხევსურებზედ, რომელთაც იქვე ეკკლესიაში, თავიანთებურად, აღიმაღლეს ხმა და მისსიონერს მადლობა მოახსენეს.

ღ. პ.

## ვარამი ჩვენის ცხოვრებისა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

### წერილი მეექვსე

თქვენს უკანასკნელს წერილში ერთი დიდი შეცდომა აღმოვაჩინე, რომელიც მით უფრო მისატევებელია, რომ ზოგიერთ პედაგოგსაც სასარგებლოდ მიაჩნია იგი. მე მოგახსენებთ ზღაპრების შესახებ. ეხლაც ბევრნი, ძალიან ბევრნი, პედაგოგნი მოიპოვებიან, რომლებიც, ისე როგორც თქვენ, გულით ეწინააღმდეგებიან ზღაპრებს. საფუძველი, რაზედაც ამყარებენ ესენი თავიანთს აზრს ზღაპრების წინააღმდეგ, ის არის, რომ ბავშვს ვითომ ზღაპრების წყალობით უსნეულდება წარმოდგენილობითი ძალა, ეჩვევა იგი ზესთა-ბუნებრივ მოვლენათაკენ მისწრაფებას და ჰშორდება მისი თვალი ქვეყნიურ სინამდვილეს. ასეთი შეხედულობა, რასაკვირველია, საფუძვლიანი არ უნდა იყოს, მით უფრო, რომ არც ერთი შეგნებული აღმზრდელი არ წაუკითხავს და არ უამბობს ბავშვს ისეთს ზღაპარს, რომელიც შეაშინებს მას თავისის შინაარსითა და წარმოდგენილობას დაუმახინჯებს. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ვითომ ბავშვებს ზღაპრებით უხშობდეთ შეგნებასა და თანაგრძნობას ქვეყნიურ სინამდვილისას და ვუძლიერებდეთ სიყვარულს ზესთა-ბუნებრივისას, ესეც აშკარა ტყუილია, და ამ სიცრუეს ბავშვებიც მალე მიხვდებიან ხოლმე, როდესაც ასაკში მოდიან და სცდილობენ გული და გონება დაამყარონ სინამდვილეს. „ხალხურს ზღაპრებსაო, ჰბრძანებს რუსთა გამოჩენილი პედაგოგი უშინსკი, თამამად ვაძლევ მე უპირატესობას სუყველა განვებ ბავშვებისათვის დაწერილ ამბებისა და მოთხრობების წინაშე. განგებ შედგენილ მოთხრობებში განათლებული მწერალი სცდილობს დაუახლოვდეს ბავშვის ფიქრსა: ოცნებას ბავშვურად და არც ერთი სიტყვა დაწერილი არა სწამს. ხალხურს ზღაპრებში დიდებული და პოეზიით სავსე ბავშვი — ხალხია, რომელიც უამბობს ბავშვებს ბავშვურ ფიქრებს და ნახევრად სწამს კიდეც ეს ფიქრები“. (იხ. „Руководство для учителей“).

აქედგან აშკარად დაინახავდით, მოწყალეო ხელწიფევ, რომ თქვენი ფიქრი იმის შესახებ, რომ ვითომ თქვენი ნიკო ზღაპრებს დაეშინებინოს, უსაფუძვლოა, მით უფრო, გავიმეორებ კიდევ, რომ თქვენს ნიკოს ისეთს ზღაპრებს არ მოასმენინებთ, სადაც უმთავრესი ადგილი „ცხრა-თავიანს დევს“, „ალს“ თავისის გრძელის თმით, „ქინკებს“, ეშმაკებს და სხვათ უქირავთ. თქვენის შვილის შიში უფრო ხშირად ბუნებრივია. რადგანაც ნიკო ჯერ პატარაა, ცოტა უცხოვრია და ცოტა უნახავს, ხშირად არ იცის თვისებანი გარემო საგნებისა, ჯერ არ ძალუძს აწონ-დაწონვა მისი და ყოველს საგანს, რომელსაც ახლადა ჰხედავს, ისეთს მნიშვნელობას აძლევს, რაც სინამდვილესთან შორს არის. ავხსნათ ყველა ეს მაგალითებით: ვთქვათ, თქვენი ნიკო წავიდა მინდორში სასეირნოდ. ია, ნარგიზი, ყაყაჩო და სხვა ყვავილები იტაცებს მის ცნობის-მოყვარე თვალებს. მათი ბრჭყვიალა ფერი კიდეც უკვირს. ჰსუნავს და სიხარულს ეძლევა. გზაში თვალს აყოლებს ხან ჯეჯილს, რომელსაც სიო ბიბინებს და ხან ათასნაირის ყვავილებით მორთულ სათიბს. ყველგან ჰხედავს ბატკნების გოგმანს და მარდის კვიცის კუნტრუშს თავიანთ დედების გარშემო მისი მშვენიერი თვალები ერთი საგნიდგან მეორეზედ გადახ-

## ფელეტონი

### ფუ, ამისთანა სიცოცხლესა!

(სურათი)

უარ-ჰყო თავისი მყუდრო ცხოვრება ელენემ და გაექცა იმ ადგილს, რომლების წინაშეც მთელის შვიდი-რვა თვის განმავლობაში გულ-მხურვალედ და გულ-მოდგინედ ჰლოცულობდა, ფრთხილობ-ფხიზლობდა, რათა ცუდი და მავნებელი აზრი არ გაეტარებინა სიწმიდისათვის შეიარაღებულს გულში; ის ადგილი, სადაც ღვთაებრივი სიყვარული ენერგებ-ეხატებოდა გულ-გონებაში და დაიმედებული, ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ, რომ ეს არის, ეხლა-კი შევასრულე ჩემი მოვალეობაო, — დიადს სიხარულს ეძლეოდა სრულიად ახალგაზრდა და სიცოცხლით აღვსილ-აღფრთოვანებული მანდილოსანი საიქიოს მოლოდინით.

რამ აიძულა ელენე, რომ ასე ერთბაშად, ასე უცბად მოულოდნელად შელახა ბოროტების ამაცილებელი ცხოვრება მაშინ, როდესაც სულითა და გულით ჰსურდა გამხდარიყო მოლოზნად და ამ აზრით კიდეც შევიდა მონასტერში?

იქნება ამა მსოფლიო, საამქვეყნიო მშვენებამ, რომელიც გამოიხატება ღვთივ დაარსებულ ბუნების სიკეკლუცე სილამაზით?! იქნება ბუნებამ აქაც გამოიჩინა თავის ძლევამოსილება და ამ ახალგაზდა, ქვრივ მანდილოსანშიაც ის სიტკბოება აღძრა, რომელიც აუცილებელია ხორციელ ადამიანისათვის?!

შემოდგომა იყო. დღის მანათობელი მიმალულიყო; მის სამაგიეროდ მთვარე აღმართულიყო ცის კამარაში და იქიდგან მედიდურად გადმოჰყურებდა ქვეყანას. ერთი იმ საღამოთაგანი იყო, როდესაც ხალხის ბრბო დიადს სიმხიარულეს ეძლევა ხოლმე აუარებელ-აზვირთებულის ლხინით, რომელიც იბადება ამ დროს სოფლებში, ქორწილებისა გამო.

როგორც ყველგან, სოფ. მ—შიაც ჩვეულებრივი და დროს შესაფერი სიმხიარულე დანავარდობდა, როგორც გამარჯვებული მეომარი. ყველა: დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ჭაბუკი ლხინობდა და ჰფხიზლობ-ლაღობდა. მთელი სოფ. მ—თა და მისი არე-მარე სიმხიარულის მორევში სცურავდა. ადამიანის ესტეტიკური გრძნობა სტკბებოდა ხალხთა მწყობრის ხმა-ტკბილ სიმღერებითა და ფანდურ ჩონგურის სიმების აჟღარუნებით. თითქოს მთვარეც თანაუგრძნობს აზვირთებულ ხალხის სიმხიარულესა, სასიამოვნოდ დაჰნათოდა სოფ. მ—თას და მის არე-მარეს უხვადა ჰფენდა ნათელს შუქს.

ერთის სიტყვით, ყველა ჰხარობდა და სულიერი თუ უსულო არსება, ელენეს გარდა, რომელიც შეკეტილიყო პატარა სენაკშია და იქიდგან, პატარა სარკმლიდგან, თვალყურს ადევნებდა ადამიანთა აღფრთოვანებულს სიმხიარულე სიტკბოებას.

— მეც ხომ ადამიანი ვარ! — წამოიძახა ელენემ.

ნუ თუ მე-კი ღირსი არა ვარ მათთან ერთად ვტკბებოდე და ვხარობდე ამა მსოფლიო სიტურფე სილამაზით, რომელიც ღმერთს ადამიანთათვის გაუჩენია?! — აღმოსთქვა მოლოზანმა და ღრმა ფიქრს მიეცა.

ამ დროს აჩრდილებულ სუფრასავით თვალ-წინ გადაეშალა თავის წარსული, თუმცა ღარიბი, მაგრამ სიცოცხლით სავსე ოჯახი; თავის საყვარელი ქმარი, რომელიც ყოველთვის სიტკბოებით აჯილდოვებდა ხოლმე; თავისი პატარა ქალ-ვაჟნი, რომელთ ყიჟინი და ხმაურობა მის გულს ნათელსა ჰფენდნენ და ის...

ერთი იმ შემოდგომის საღამოთაგანი, როდესაც იგიც აგრეთვე დიდს სამზადისში იყო სანეფოს დასახვედრად და ჯვარის დასაწერად. ნამყო ცხოვრების მოგონებას ზედ დაერთო აწმყო მისი ცხოვრება, შეადარა წარსული მდგომარეობა ეხლანდელს და, რა ჰპოვა აწ-მყო ცხოვრება, უარ ჰყო იგი. ერთხელ კიდევ წამოიძახა:

— ფუ, ამისთანა სიცოცხლესაო!

გამალებული გარედ გამოიჭრა, დაეშვა სოფლისაკენ და სიხარულითა და ტაშის კვრით მიეგება ხალხის სიმხიარულეს, ჩაერია მათს ფერხულში და შეამხიარულ-შეახმიანა თავისი ჩათხრობილ-დაღონებული გული. დღესაც მათში არის, განაგრძობს ცხოვრებას და მათთან ერთად ჰხარობს და სტკბება ბუნების სიკეკლუცე-სილამაზით.

ზაქე

ტის, უკვირს ყველაფერი, ჰყვირის, იცინის... მაგრამ უეცრად ერთის რამის დანახვა გულს შეუშფოთებს, ფერს უცვლის და შიშის ზარსა სცემს... და ისიც რა—ჩვენი კარგი ნაცნობი კალია! ამასა ჰგონია, რადგანაც პირველად ჰხედავს, რომ ამას რაიმე მავნებლობა შეუძლიან, ეძლევა თვით-მცველობის გრძნობას და გაურბის, როგორც საშინელს რასმეს. და ეს შიში უფრო ძლიერია ხოლმე, თუ რომელისამე მწერისაგან (კრაზანა, ფუტკარი, ჭიანჭველა და სხვა) რამე ვნება უგრძვნია. ამის შემდეგ ყველა ახლად ნახული მწერი, მხეცი, ადამიანი, რომელსაც რაიმე ბუნებითი ნაკლულევანება აქვს, შიშს აგრძნობინებს და ამ ბუნებრივს გრძნობას შიშისას თუ მივუმატებთ იმ ამბებსაცა და ზღაპრებსაც, რომლების შინაარსიც დიდებსაც-კი აშინებს, მაშინ ხომ ბავშვის შიში გაორკეცებული იქნება. ეს რად გინდათ, რამდენს განათლებულს დედას ვიცნობ, რომელსაც, თავისის შვილის ჯიუტობით ბრაზ-მორეულს, ამ სიტყვებით შეუშინებია იგი: „ბუა მოვიდა“, „მოდი, მგელო, შეჭამე“ და სხვანი თუ გაგებული დედა ამა საშუალებას მიჰმართავს ხოლმე, რაღა უნდა მოვთხოვოთ, გადიას, გოგოს, ბიჭს და სხვას. მით უმეტესია ბავშვის შიში, რომ ყველა ეს ღამე ხდება ხოლმე.

ამ ნაამბობისა და ნახულის გავლენით ისეა შეშინებული ბავშვი, რომ ყოველი შრიალი, გაურკვეველი ხმაურობა შიშის ჟრუანტელსა ჰგვრის. ღამე იგი სრულიად მოუსვენრად არის—ჰშიშობს, ძრწის, ყოველ ჭუჭრუტანიდგან, იმის შეშინებულის ფიქრით, მგელს თავი გამოუყვია, კალია, ბაყაყი, გველი, ეშმაკი და სხ. ელანდება. საბანში იმალება, რათა თავი დაიხსნას ყველა ამათგან. ყოველ ღამე ამ მოუსვენრობაშია, არა სძინავს, ხოლო თუ დაიძინა, ყველაფერი სიზმარში ეჩვენება. ილვიძებს უდროოდ, უძახის დედას. დედის მიერ გულ-დამშვიდებული ისევ ეძლევა ძილს, მაგრამ მეორე დღეს სულ მთლად ამღვრეული, დასუსტებული დგება. აღარაფერი ახალისებს—აღარც თამაშობა, აღარც ტოლი და აღარც ამხანაგი. ყველა ამას ძალიან ცუდი გავლენა აქვს მის ზნეობრივ განვითარებაზედ: იგი იჭვიანი ხდება, უნდო და სიყვარულის მაგიერ სიძულვილი ებადება ადამიანთა მიმართ. მერე რამდენსა ვხედავთ დიდებშიაც შედეგს ასეთის აღზრდისას?

ამ სენისაგან ბავშვის დახსნა ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლო კია. მისი მოსპობა ისევ დედას შეუძლიან და ამისათვის მოგმართავ შენ, ნაზო და მზრუნველო დედავ, რუსოს სიტყვებით: „გაუფრთხილდი და მორწყე ახალგაზდა მცენარე, ვიდრე იგი არ დაგჭკნობია: მისი ნაყოფი მომავალში გაგახარებს!“ აი რა საშუალებით შეიძლება ბავშვის ამ სენისაგან განთავისუფლება:

1) ბავშვი უნდა მოაშოროთ იმათ, რომლებ-ც თავის გაუგებრობით აშინებენ და საზოგადოდ ცუდს გრძნობებს უნერგავენ.

2) თქვენც მოსპეთ იმისთანა ზღაპრების და ამბების გარდაცემა, რომელთა შინაარსი აშინებს ბავშვს.

3) თუ ბავშვს ეშინიან ოთახში მარტო წოლისა, პირველ ხანს ნუ მოშორდებით, უამბეთ, ან წაუკითხეთ რაიმე კარგი ამბავი, სადაც არც მგლები სჭამენ ბავშვებს, არც ალები დათარეშობენ ჰალებში და არც ცხრა თავიანი დევი ებრძვის ქვეყანას. ბავშვი დამშვიდდება, დაავიწყდება ნაგრძნობი შიში და ტკბილად მიეცემა ძილს. ამ საშუალებით ბავშვი თან-და-თან გამოერკვევა შიშისაგან, დაიწყებს სჯასა და ეჭვის თვალით შეჰხედავს ნაამბობის სინამდვილეს; ამასთანავე ცნობის მოყვარეობა აღეძვრის გაგონილის შინაარსის შეტყობისა და აღმზრდელი აქ მარჯვედ უნდა იყოს, რომ კარგად ისარგებლოს ამ ცნობის მოყვარეობით, რათა დაარწმუნოს ბავშვი, რომ ყოველივე ნაამბობი მტკნარი სიცრუე, ზღაპარი იყო.

4) თუ მაინცა და მაინც ვერ მიეჩვია ოთახში მარტოდ წოლას, თქვენ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო გადით ხოლმე მეორე ოთახში, იგი მარტოდ დასტოვეთ; თუ პირველ ხანში შეშინდეს, შედით ისევ, დაამშვიდეთ და ისევ მოიმიზეზეთ რამე და გადით გარედ. თუ ამ საშუალებას მალ-მალე გაიმეორებთ, დარწმუნდებით, რომ ბავშვი არამც თუ მარტო ოთახში, ბნელაშიაც-კი თამამად დარჩება.

5) ამის შემდეგ თქვენთვის ადვილია დაიხსნათ თქვენი ნიკო ცხოველების დანახვით აღძრულ შიშისაგან. დაიჭირეთ კალია, ხელზედ დაისვით, იმასაც ხელში დააჭერინეთ, აუწერეთ მოკლედ და უბრალოდ მისი ცხოვრება და გარწმუნებთ იმისი შიში აღარა ექმნება. ასევე მოიქეცით—ობობისა, ბუზისა, ბაყაყისა და სხვების შესახებაც. ბავშვი დარწმუნდება, რომ ეს ცხოველები, რომლისაც წინად ძალიან ეშინოდა, უვნებლები ყოფილან, გაეხსნება გრძნობა უპირატესობისა ზოგიერთ ცხოველებზედ და ამ საშუალებით დაებადება თვით-ცნობიერება, უშიშრობა და მამაცობა ყოველ დაბრკოლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ალ. ნათაძე

## რუსეთი

15 ნოემბერს პეტერბურგში სტარიფო კრება ექმნებათ რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენელთ. სულ კრებას 30 საგანი წარედგინება განსახილველად, რომელთა შორის რამდენიმე მეტად საყურადღებო და დიდ მნიშვნელოვანია.

— 1901 წელს რუსეთის რკინის გზები შეიძენენ 1000 ვაგონს მეოთხე კლასისას მუშათა გადასაზიდად. ამ ბოლოს დროს მეტად იმრავლა რუსეთში იმ მუშათა რიცხვმა, რომელნიც ერთის გუბერნიიდგან მეორეში მიდიან სამუშაოს მოსაპოვებლად. ყოველ წელიწადს 2,800,000 ასეთ მუშამდე მიდის რკინის გზებით. ახალი ვაგონები ამ მუშებისათვის უნდათ.

— სახელმწიფო საბჭოს ამ ცოტა ხანში განსახილველად წარედგინება რუსეთის საიმპერატორო ცეცხლის მქრობელ საზოგადოების წესდების პროექტი. ახალის წესდებით აზრადა აქვთ გააერთიანონ მთელს იმპერიაში არსებული ცეცხლის მქრობელი რაზმები და ამხანაგობანი. ამას გარდა აზრადა აქვთ პეტერბურგში დააარსონ ბრანდმეისტერთა სკოლა.

— სასულიერო უწყებამ, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, განმარტა, რომ, უწმ. სინოდის 1773 წლის 3 ივლისის გარდაწყვეტილების თანახმად, მღვდელს არ შეუძლიან ერთსა და იმავე დროს რამდენსამე კაცს ერთად დასწეროს ჯვარი.

— 1901 წელს სრულიად რუსეთის ბუნების მეტყველთა და მკურნალთა კრება მოხდება. საერო განათლების სამინისტრო ამ კრებისათვის 5000 მანეთსა თხოულობს.

— სამოსწავლო ოლქის მზრუნველებს ნება მიეცათ, ერთ-კლასიანი და ორ კლასიანი სასწავლებლები თავისს საკუთარის უფლებით გახსნან ხოლმე. ერთ-კლასიან სასწავლებელთათვის გადასდონ ყოველ წლივ არა უმეტეს 500 მანეთისა, ხოლო ორ-კლასიანებისთვის არა უმეტეს 1000 მან. სამინისტროს ნება დართვით ეს ფული 700 და 1,400 მან. შეუძლიათ გაადიდონ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** 26 ოქტომბერს მომხდარ საფრანგეთის პალატის სხდომის შესახებ „Indèpendante Belge“ სრულიად სამართლიანად შეჰნიშნავს შემდეგს: „სიპიდოს საქმის შესახებ წარდგენილი ინტერპელიაცია (დაკითხვა), სასჯულო საქმეთა მინისტრის მონისის წინააღმდეგ აღძრული, შემთხვევით იყო გამოწვეული, რადგანაც ასეთს კითხვებს ყოველდღიური ხასიათი არა აქვს და იშვიათია, მაგრამ მილიერანზედ მიტანილი იერიში-კი საპოლიტიკო მანიფესტაცია იყო საზოგადო მუდმივის ხასიათისა, რადგანაც სამინისტროს მომავალში უთუოდ უნდა ჰყავდეს კაცი, რომელსაც გულწრფელადა და გარდაწყვეტილად უნდა შეჰქონდეს სხვა-და-სხვა სოციალური ცვლილება. მაგრამ აი, სწორედ ეს არად ეპიტნავებათ რეაქციონერებსა და კონსერვატიულ დასის წარმომადგენლებს; აქ არის კვანძი ჩვენის პოლიტიკისა. ქამანდი, რომელიც ამ ჟამად მილიერანს უგდეს და განზრახვა ჰქონდათ იგი როგორმე სამინისტროდგან გაედევნათ, ან რაში მდგომარეობდა: ჯერ კაბინეთს ნდობა გამოუცხადეს და შემდეგ ამისა თავისი განკიცხვა და საყვედური გამოუცხადეს იმ ცვლილებათა გამო, რომელიც ვაჭრობის მინისტრმა მილიერანმა შეიტანა, ე. ი. იმ სიტყვებისა და აზრებისათვის, რომლებიც ან თითონ წარმოსთქვა, ან-და საზოგადოებამ მიაწერა მას. ამ მოხერხებულმა თვალხუჭინობამ ჯერ, მართალია, ვერა გააკეთა-რა, მაგრამ საქმის მეთაურები იმედს არა ჰკარგავენ, რომ შემდგომში არ გაიმარჯვებენ. რეაქციონერები, კილერიკალები და ნაციონალისტები იმას სცდილობენ, რომ ეკონომიურს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი მთლად როგორმე გააქარწყლონ,—შრომის საბჭოები გააუქმონ, უმაღლესი საბჭო და შრომის ბირჟები დახურონ და თვით პროფესსინალური სინდიკატებიც გააუქმონ. როგორც გარემოებიდგან ჩანს, თვალხუჭინობით დაწყობილი ბრძოლა უბრალო ხუმრობა არ არის, მაგრამ ვერას გახდება, თუმცა ჯერ კიდევ ბევრს დაბრკოლებას დაჰბადებს და საშიშს მიმართულებას მიიღებს. ეს ოც-და-ათი წელიწადია, რესპუბლიკელნი მჭიდროდ კავშირდებიან, როგორც-კი რესპუბლიკას საფრთხე რამ მოელის. ახლაც იმას ურჩევენ ვალდეკ რუსსოს სამინისტროს, რომ იგი მოქმედებათა და რეფორმათა პოლიტიკას დაადგეს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, პოლიტიკა სახიფათოაო“.

— როგორც რომიდგან იუწყებიან ზოგიერთი გაზეთები, საფრანგეთის მთავრობას დაურწმუნებია პაპი, რომ განზრახული კლერიკალთა საწინააღმდეგო საშუალებანი ბოროტად მომქმედ ბერების წინააღმდეგ არის მიმართული და არა თითონ ეკლესიის წინააღმდეგ.

— კომისიამ, რომელსაც ამ მინისტრის პროექტის განხილვა ჰქონდა მინდობილი, პროექტი მთავრობასვე დაუბრუნა და წინადადება მისცა, რომ პარლამენტს სრული ამნისტიის პროექტი წარუდგინოს. კერძო ამნისტია კომისიას არა ჰსურს, მაგრამ, მისის აზრით, საჭიროა სრული ამნისტია მთავრობამვე წარადგინოს ხოლმე. „Temps“-ი ამ გარდაწყვეტილებას სრულიად ამართლებს და ვალდეკ რუსსოს მიერ ტულუზაში წარმოთქმულს სიტყვას ამნისტიის შესახებ ასე არჩევს: „ამნისტია,—ამბობს „Temps“,—ცოდვათა მიტევება არ არის; ამნისტია მხოლოდ ან დავიწყებაა დანაშაულობისა იმის გამო, რომ მთავრობა სახელმწიფოს ძალასა და სიმაგრეს შეურყეველადა სთვლის, ან-და იმისათვის, რომ მოწინააღმდეგენი დროებით დააშოშმინოს. ამნისტია მხოლოდ პოლიტიკური აქტია, რომელსაც პოლიტიკური მოსაზრებანი და ინტერესები თხოულობენ. გარდაწყვეტა იმისა, საჭიროა იგი თუ არა, მთავრობაზეა დამოკიდებული. საჭიროა თუ არა, რომ დერულედი ან სხვა ვინმე განთავისუფლებულ იქმნეს, ან-და სასჯელი უნდა გადაჰხდეს, ეს მთავრობის საქმეა, მაგრამ მთავრობამ თავისის ღირსების დასაცველად დასჯილთაგან მორჩილების განცხადება და სინანული არ უნდა მოითხოვოს, რადგანაც ამნისტია საჭიროა თვით ქვეყნისთვისა და არა კერძოდ რომელისამე დასჯილისთვის“.

**ინგლისი.** „Daily Mail“-ის სიტყვით, ინგლისის მხედრობაში ცვლილებანი მომავალის წლის დასაწყისიდგან იქმნება შეტანილი. ჯარების ვარჯიშობას ექვსის კვირის მაგივრად ამიერიდგან მთელი ათი თვე მოჰხმარდება. დანარჩენს ორს თვეს ჯარის-კაცებს შეუძლიანთ თავისუფლება მიიღონ და დაისვენონ. ტყვია-წამალიც შედარებით გაცილებით მეტი მიეცემათ ჯარის-კაცებს, რომ სროლაში მეტი ივარჯიშონ. გარდა ამისა, სამხედრო სამინისტროს დიდი ადგილი შეუძენია იმ აზრით, რომ საარტილერიო ვარჯიშობა სროლაში აქ სწარმოებდეს ხოლმე. სხვა საოჯახო შავი სამუშაო ჯარის-კაცებს სრულიად ჩამოეხსნებათ და დაევალებათ იმათ, ვინც უკვე შეასრულა ვადით განწესებული სამსახური. ეს გარემოებაც, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს, რომ ჯარის კაცმა თავისი პირდაპირი მოვალეობა და სამსახური პირნათლად შეითვისოს.

**ბელგია.** ამ დღეებში ბრიუსელსა და ბელგიის ზოგიერთს სხვა ქალაქში მუშათა დასმა მანიფესტაციები გამართა, რომელთაც აზრად ამნისტიისა და საყოველთაო საარჩევნო უფლებათა მიბოჭება ჰქონდათ. ყველაზედ უდიდესი მანიფესტაცია-კი ბრიუსელში მოხდა. რამდენიმე ათასი მუშა თავისის წარმომადგენლებით პარლამენტსა და ქალაქის თვით-მმართველობაში, ბაირაღებითა და მუსიკით ქალაქის საბჭოსაკენ გაემართა, სადაც მანიფესტაციის გამმართველთა კომიტეტმა ქალაქის მოურავს დე-მოტის თხოვნა გადასცა. თხოვნა პალატის წარმომადგენელთა პრეზიდენტისა და წევრების სახელზედ იყო დაწერილი. მთხოვნელები, ე. ი. მუშები, რომელთა რიცხვიც ბელგიაშია 500,000-დეა და რომელთა შორისაც 1/8 სრულ-წლოვან მოქალაქეებს შეადგენენ ითხოვენ პალატისაგან, რომ ამათ თავისს მხრივ წარადგინოს კანონი ამნისტიისა იმათთვის, ვინც პოლიტიკურ დანაშაულობისათვის დასჯილია და აგრეთვე კონსტიტუციაში საყოველთაო საარჩევნო უფლება იქმნეს შეტანილი.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ინგლისის ბოროტ-მოქმედებათა შესახებ სამხრეთ-აფრიკაში თანდათან მეტი მასალა ქვეყნდება. თითონ ინგლისური გაზეთები აღარ ჰმალავენ და აღიარებენ რომ ინგლისის საქციელი სამხრეთ აფრიკაში ყოველგვარს საერთა შორისო უფლებასა და მიმართულებას არღვევს. აი, რასა სწერს ვილიამ სტედი ინგლისურს ერთს გაზეთში: „ომის დაწყებისას კიდევ იცავდნენ იმ წესებს, რომლებიც გააგის კონფერენციაზედ იქმნა დადგენილი. ეხლა-კი განათლებულ ერების მიერ შემუშავებულს ომის წესების ყურადღებას არავინ აქცევს. ორთავე რესპუბლიკის მამული მოოხრებულია. იარაღის მაგივრად ინგლისელები ახლა ცეცხლით ებრძვიან მტერს. მათს ჯარებს გზას ცეცხლ-წაკიდებული ფერმები უნათებენ. ძარცვა და რბევა ჩვეულებრივი მოვლენაა. ინგლისელები ბურებს ვერ იმორჩილებენ. ამისათვის გაბრაზებულნი მათს ცოლ-შვილს ფერმებიდგან ერეკებიან, რომლებიც შემდეგ შიმშილისა და სნეულებისაგან დაუძლურებულნი ინგლისელებისა და კაფრების ბანაკში უპატრონობით იხოცებიან.

ტეორეტიულად გააგის კონფერენციის პირობები, მართალია, ტრანსვაალის მთავრობისათვის სავალდებულო არ არის, რადგანაც მათი წარმომადგენლები არ მიიღეს კონფერენციაზე, მაგრამ ინგლისისათვის-კი სავალდებულოა, რომელმაც კონფერენციის პირობებს სწორედ მაშინ მოაწერა ხელი, როდესაც ომი დაწყებული იყო.

ახლა ერთსა-და ვეკითხავთ, ნუ-თუ შესაძლებელია კვალად გულცივად ვუცქიროთ ინგლისელების ბარბაროსულ საქციელს?.. საკაცობრიო წინსვლის შეურაცხყება ისეთი დანაშაულობაა, რომლის წინააღმდეგაც ყველა განათლებულმა ერმა ხმა უნდა აღიმაღლოს და ასეთი ბარბაროსული მოქმედება ინგლისსა-კი ეჭვს გარეშე, რადგანაც თითონ ინგლისელი ოფიცრები და ჯარის-კაცები აღარ ჰმალავენო.

## თეატრის მატიანე

**დ. სამტრედია.** 28 ოქტომბერს ქუთაისიდგან ბ-ნი ვ. ალექსი-მესხიშვილი გვეწვია თვისის დასით. ადგილობრივნი მცხოვრებნი ადრევე დიდის აღტაცებით მოელოდნენ ბ-ნს მესხიშვილსა, მაგრამ ამ ჟამად ცოტა არ იყოს გულ ნაკლულად დარჩა საზოგადოება. ბ-ნმა მესხიშვილმა, მოლოდინის წინააღმდეგ, დასდგა რუსული პიესა „Забубенная Головушка“ და „ბაიყუში“, რომელსაც ამ წელს აგერ მესამედ თამაშობენ აქა და ხალხს თავი მოაბეზრა. წარმოდგენას ამის გამო ხალხი ნაკლებად დაესწრო. რუსულმა პიესამ საკმაოდ კარგად ჩაიარა, მაგრამ „ბაიყუშმა“-კი ვერა, ალბად იმისთვის, რომ ხალხი ცოტა დაესწრო და არტისტებს გული აუცრუვდათ, თორემ, მაგალითად, ქ-ნს ჩხეიძეს თუ ქუთაისში მშვენივრად შეუძლიან ამის თამაშობა, აქ ხელი რას უნდა შეეშალა. ერთი სიტყვით, ბ-ნს მესხიშვილს შეცდომა მოუვიდა, რომ ქართული პიესა რიგიანი ვერ შეარ-

ჩია და საზოგადოება და იგი ერთიმეორის უკმაყოფილონი დარჩნენ. იმედია, თუ რომ კიდევ ინებებს და გვეწვევა, ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დასტოვებს.

გ. უ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ლონდონში ამას წინად დაიბეჭდა ახალი წიგნი ამ სათაურით: „ერთის კაცის ზღვით მოგზაურობა დედამიწის გარეშემო“. ავტორი ამ წიგნისა ჯოზუა სლოკუმია. აღწერილია წიგნში მოგზაურობა პატარა გემით „სპრეი“-თი 1895 წლის 24 აპრილიდგან 1898 წლის ივლისამდე. მოუმზადებია-რა სურსათი, სლოკუმი თავისს პატარა გემით ბოსტონიდგან შესდგომია ცურვას. თან სლოკუმს არავითარი იარაღი არ წაუღია არ გასულა ბევრი ხანი, რომ სლოკუმს მოგზაურობა მოსწყენია. „მარტოობა ძალიან მაწუხებდაო, სწერს; როდესაც ღელვა იყო, მხოლოდ მაშინ არა ვგრძნობდი მარტოობას, უიმისოდ-კი არ ვიცოდი, რა მექნა. გამეგონა, კაცი ლაპარაკს გადაეჩვევა, თუ დიდხანს დაჰყო ჩუმადაო; ამიტომ მთელი საათობით გავკიოდი და ჩემ თავს ველაპარაკებოდი. ხანდახან სიმღერასაც დავაპირებდი ხოლმე, მაგრამ რადგანაც იმ თავითვე ვერაფერი ნიჭი გმოვიჩინე ამ საქმეში, ვერც ეხლა ვახერხებდი სიმღერით თავის გართობას“. ძალიან შეჰყვარებია მგზავრს ზღვის კუ, თითქმის ყოველ დღე ვიჭერდი და სადილად ვიმზადებდიო, გადმოგვცემს. ერთ ადგილას ატლანტიის ოკეანეში ზღვის ყაჩაღებიც შეჰხვედრიან სლოკუმს, მაგრამ დაჰმალვია და თავი გადურჩენია. „გორნთან კიდევ შევხვდი ყაჩაღებს, გადმოგვცემს სპრეი, არ მინდოდა გაეგოთ, რომ მარტო ვიყავი, ამიტომ დამინახეს თუ არა, კაიუტაში ჩავედი და ტანისამოსი გმოვიცვალე, პატარა ხანს უკან სხვა ტანისამოსი ჩავიცვი, ამ რიგად სამ ნაირად დავენახვე ყაჩაღებს; რასაკვირველია, იფიქრებდნენ, გემზედ რამდენიმე კაციაო. როდესაც ყაჩაღები 80 იადრზედ მომიახლოვდნენ, ორჯელ ვესროლე თოფი. არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ყაჩაღებმა თავიანთი ნავი მიატრიალეს და სადღაც წავიდნენ. სალამოთი პალუბაზედ თითქმის ყველგან ლურსმები დავურჭე ისე-კი, რომ მწვეტანი თავები ზევით ვუყავი“. ამ ლურსმებს შემდეგ დიდი სამსახური გაუწევიათ სპრეისათვის. ერთ ადგილას ინდოელი ყაჩაღები ორის ნავით დასდევნებიან. ღამე, როდესაც ძირს კაიუტაში ვიყავი, ზევიდგან ხმაურობა მომესმა, თურმე ყაჩაღები ჩემს გემზედ ამოცვივნულან; მაგრამ პატარა ხანს უკან კივილ წივილი და კვნესა გავიგონე,—ეს ლურსმების წყალობა იყო. თოფის სროლა არც კი მომიხდა; ყაჩაღები თავიანთვე ნავებზედ გადახტნენ და გამშორდნენო.

* * *

ამას წინად ლონდონის სასამართლოში უჩიოდნენ ერთ ყმაწვილ კაცს ჯონ ლიტტენს. უჩიოდა ახალგაზდავე ქალი ელინორ ჯონსონი. ოთხი წელიწადი ჩემზედ დანიშნული იყო და ეხლა აღარ მიპირებს შერთვასაო. დასამტკიცებელ საბუთად ჯონსონს წერილები წარუდგენია. ოთხის წლის განმავლობაში ლიტტენს დანიშნულისათვის 620 წერილი მიუწერია, ხოლო იმისაგან 569 წერილი მიუღია. მაგრამ ამერიკელებმა ამაშიაც გადააჭარბეს ევროპიელებს. ამერიკაში ვიღაც კრუკს თავისს დანიშნულისთვის 900 წერილი გაუგზავნია, ხოლო დოვნერში ერთ ახალგაზდა ბანკის მოხელეს საქმეებისთვის სრულიად თავი მიუნებებია მხოლოდ იმიტომ, რომ წერილების წერას უნდებოდა. თავისს დანიშნულს თვეში სულ ცოტა 60 წერილს მაინც სწერდა თურმე ეს კაცი. ასტინში ერთ შეყვარებულს, რომელიც ორი წელიწადი ყოფილა დანიშნული, ამ ხნის განმავლობაში 1200 წერილი მიუწერია დანიშნიშნულისათვის. მაგრამ ყველასთვის ერთ ჩიკაგოელ შეყვარებულს გადაუჭარბებია. ამ კაცს შვიდის წლის განმავლობაში დანიშნულისათვის 6,020 დიდი წერილი მიუწერია თურმე.

* * *

ამერიკაში ახალი საშუალება მოუგონიათ ომის მოსასპობად. მიჩიგანის შტატში შემდგარა ომისაგან დამზღვევი საზოგადოება. საზოგადოებამ სახელმწიფონი და ერები უნდა დააზღვიოს. წევრებად უკვე ჩაწერილან დეპუტატები, სენატორები, ვექილები და სხვანი. სამოქმედო ასპარეზად ამ საზოგადოებას მთელი დედამიწა ექმნება. ყველა სახელმწიფოში გაჰყიდიან აქციებს (თითო აქცია 4 მანეთი) და იმედი აქვთ იმდენ აქციონერებს იშოვნიან, რომ ყველა სახელმწიფონი დაეზღვევიან ამ საზოგადოებაში. სახელმწიფონი ყოველ წელიწადს პრემიებს გადაიხდიან, ხოლო თუ დიპლომატიური უთანხმოება მოხდება, საქმე განსახილველად და უთანხმოების თავიდგან ასაცდენად სამედიატორო სასამართლოს გადაეცემა. თუ მაინც საქმე ომამდე მივიდა, საზოგადოება ომისთვის ფულს მისცემს იმ სახელმწიფოს, რომელსაც ომი არ დაუწყვია, ხოლო იმას, რომელიც პირველად დაესხა თავს, არაფრით შემწეობას არ აღმოუჩენს. ასეთის საშუალებით აპირებენ ომის მოსპობას.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ნოემბერი

**ლივადია.** 6 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე კარგად გაატარა. სალამოს 9 საათზედ ტემპერატურა 38,7 ჰქონდა, მაჯა—72. ღამე მისს უდიდებულესობას კარგად ეძინა და დილით თვით-მგრძნობელობა კარგი ჰქონდა. დილის ცხრა საათზედ ტემპერატურა—38,4 მაჯა - 66. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მკურნალი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

**პეკინი.** ლიხუნჩანგი იუწყება, რომ პრინცი ტუანი დასამალად ნინსიასენში გაიქცაო.

სამხრეთ პროვინციებიდგან დამამშვიდებელი ამბები მოდის.

**ვაშინგტონი.** ამერიკის მთავრობამ უფლება მისცა კონჯერს დაადგინოს, რა სასჯელი უნდა გარდახდეთ დამნაშავე ჩინელ მოხელეებს.

გენერლები 23,000 კაცით ჯილის პროვინციის საზღვრით მოდიან, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ მოკავშირეთა და იმათ ჯარს გზა არ მისცენ დასავლეთისაკენ წასასვლელად.

**პეკინი.** თავ. უხტომსკი დღეს ჩამოვიდა.

**ბერლინი.** რუსეთში მიმავალმა დიდმა მთავარმა მემკვიდრემ ბერლინზედ გამოიარა.

**პარიჟი.** პალატა გარეშე საქმეთა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა. დეტურნელმა იკითხა, ექსპედიცია რამდენს ხანს გასტანს, ან რამდენი დაგვიჯდებაო; ან ყველა სახელმწიფო იმდენსავე სასყიდელს მოითხოვს, რამდენსაც გერმანია თხოულობს და საჭირო იქმნება ჩინეთის საბაჟო გარდასახადი მოემატოს თუ არა, რაიცა ევროპის ვაჭრობას შეაფერხებსო. სოციალისტი სემბა ჩინეთში მცხოვრებს ევროპიელებსა და მისიონერებსა სდებს ომის დაწყების ბრალსა. იგივ თხოულობს ახსნას იმ ბარბაროსულ მოქმედებათა შესახებ, რომლებსაც ევროპის ჯარებს აბრალებენ. დასასრულ ორატორი ეჭვს აცხადებს ვალდერზეს გენერალისსიმუსად დანიშვნის შესახებ. კამათის განგრძობა გადადებულ იქმნა და სხდომა დაიხურა.

7 ნოემბერი *)

**ბერლინი.** გამოქვეყნდა ჩინეთის იმპერატორის წერილი გერმანიის იმპერატორისადმი იმპერატორის ვილჰელმის დეპეშის საპასუხოდ. ბოგდიხანი პირობას აძლევს კეტელერის მკვლელობაში დამნაშავენი სასტიკად დასაჯოს. ბოგდიხანი იმედოვნებს, რომ მალე მშვიდობიანი დამოკიდებულებანი კვლავ აღდგენილნი იქმნებიან და აცხადებს, რომ, როგორც-კი მშვიდობიანი მოლაპარაკება თავისს დანიშნულებას მიაღწევს, მაშინვე დაჰნიშნავს ვადას პეკინში დასაბრუნებლად. ქრისტიანეთა მისსიების დაცვა სასტიკად ექმნებათ პროვინციის მმართველთ ნაბრძანებიო.

**ბერლინი.** საიმპერიო სეიმი. ბიულოვი ჩინეთის საქმეთა შესახებ კანონ-პროექტსა ჰმარტავს, თვალს ავლებს ჩინეთის არეულობის წინა ხანას და შეჰნიშნავს, რომ გერმანია სხვა სახელმწიფოებზედ ადრე მიჰხვდა აღმოსავლეთში რა უბედურება უნდა მომხდარიყო. იმპერიის კანცლერი ითხოვს, რომ ომის ჯარჯი უკანა რიცხვით მიღებულ იქმნეს (ისმის მოწონება. სოციალ-დემოკრატნი წინააღმდეგობას აცხადებენ.

**შანხაი.** იანზეს კელის მეფის მოადგილეთ სინანფუში ბრინჯის გზავნა შესწყვიტეს, რადგანაც ეშინიანთ, რომ მოკავშირე ჯარები დაიჭერენ. სიჩუანის გუბერნატორმა ბრძანება მიიღო, რომ იმპერატორს გამოეცხადოს. აქედგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ იმპერატორს განზრახვა აქვს სიჩუანში გადასახლდეს.

**გონგკონგი.** კანტონიდგან იუწყებიან, რომ კუანსის პროვინციაში ქრისტეანეთა წინააღმდეგ უწესოებანი დაიწყოო. არა ქრისტიანეთ ყველას საგანგებო ნიშნები თურმე აქვთ ზედ, რომ თავი როგორმე იხსნან.

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ გრაფის იორკის რაზმი 20 ნოემბერს ხვაილაიში მივიდა, საიდაც წინა ღამით 2,000 ჩინეთის გაწყობილი ჯარი წავიდაო.

**ლივადია.** 7 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე საკმაოდ კარგად გაატარა. სალამოს 9 საათზედ 39° სიცხე ჰქონდა, მაჯა 80 ჯერ უცემდა. მათს უდიდებულესობას ღამის სამ საათამდე მშვიდობიანად ეძინა, შემდეგ ხშირად ეღვიძებოდა და ოფლს ასხამდა. დილით საკმაოდ კარგი თვითგრძნობა ჰქონდა. 38° სიცხე ჰქონდა, მაჯა 79-ჯერ უცემდა. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ მედიკი, მკურნალ ტიხონოვი.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

9 ნოემბერი.

მიხეილ ვარდუაშვილისა, მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

არტემ თევზაძისა—მკვლეულობის ჩადენის განზრახვის ბრალი ედება.

იოსებ გაბაძიშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1653 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

16 ნოემბერი.

ქიათურის ყოფილ სამრეწველო ბოქაულის ნესტორ ნიკოლოზის ძის არდიშვილისა, რომელსაც სამსახურში დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება.

საჩხერის ნაწილის ყოფილ ბოქაულის გაბრიელ ფიცხელაურისა, რომელსაც სამსახურში ჩადენილ დანაშაულობის ბრალი ედება.

დათა კუბეციასი, რომელსაც სასჯ. დებულების მე 1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

*) ეს დეპეშა გუშინ ნაშუაღამევის $1^1/_2$ საათზედ მოვიდა და ამის გამო სრულად ვერ დაიბეჭდა. დანარჩენი ხვალისთვის იქმნა გადადებული.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 11 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის საქმე ალასკაროვის სახლის ალაყაფის კარებიდგან მდინარე მტკვრამდე სეიდაბათის დახმართზედ, სიგრძით 65 საჟ. დაახლოვებით სამუშაო 1550 მანეთისა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—1)

## კრებული და მნათი

ტფილისის მთაწმინდის მამა დავითის ეკკლესიისა ამით აცხადებს, რომ 1901 წლიდგან

**იჯარით გაიცემა**

საეკკლესიო მამული „სოლოლაკის“ აღმართზე, კოჯორის ახლოს, ზომით 148 დესეტინა. მსურველთ პირობების შეტყობა ნოემბრის 20-მდე ეკკლესიის მღვდელთან შეუძლიანთ ნაშუადღევის 3 საათიდგან. (3—2).

## კბილის ექიმი

**ა. გ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და სალამოთი 5—7 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32. (უ.)

**ელისაბედ გრიგოლის ასული სულხანიშვილისა** ამით აუწყებს ნაცნობსა და ნათესავებს, რომ ხუთშაბათს, 9 ნოემბერს ავლაბრის კარმილ ავეტრანის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის მეუღლის.

**ქვეყოქ სულხანის მის სულხანოვის**

სულის მოსახსენებლად და სთხოვს მათ მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზე დასასწრებლად. (1—228—1)

**საისტორიო-საარქეოლოგიო და საგეოგრაფიო-საეთნოგრაფო**

**ყოველ-თვიური სურათებიანი ჟურნალი**

# „მოგზაური“.

მომავალ 1901 წლის იანვრიდგან, მთავრობის ნება-დართვით, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის რედაქტორობით, გამოვა ქართული ახალი ჟურნალი „მოგზაური“. ჟურნალს მიზნად აქვს ადგილობრივ ასწეროს და დაასურათოს ჩვენის ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ნაშთი, საგანი და პირი. გარდა ამისა, ჟურნალი ადგილს მისცემს თავისს ფურცლებზედა საქართველოს და მისს ნაწილთა და მკვიდრთა შესახებ ყოველგვარ სტატიებსა, მოთხრობებსა, პოემებსა, ლექსებსა, გარდმოცემებსა და ზღაპრებსა ისტორიულ, არქეოლოგიურ, გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ შინაარსის.

პირველი ნომერი გამოვა საახალწლოდ, ხოლო შემდეგნი ყოველთვის პირველ რიცხვებში, ერთიდამ ორ ბეჭდურ თაბახამდის (32—64 გვ.) და ეღირება წლით 5 მანეთი, ნახევარ წლით—3 მანეთი. რადგანაც გამოცემა ასეთის სპეციალურის ჟურნალისა იაფად არ დაჯდება, ვთხოვთ ჩვენის წარსულის და ქვეყნის მოყვარეთ დაგვეხმარნენ ამ ახალს საქმეში ხელის-მოწერით და შესაფერის სტატიების და სურათების გამოგზავნით. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ въ Редакцію „Могзаури“.

ტფილისში მცხოვრებთაგან ხელის-მოწერა მიიღება წ.-კ. გამავრცელებელის საზოგადოების და ი. იმედაშვილის წიგნების მაღაზიებში.

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე, შუადღის სამ საათზედ, ბაქრაძის სახლებში № 20, დავითის ვიწრო ქუჩაზედ.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Ноября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა ამხ. დროებითი რედაქტორი ე. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე